ცნობის ფურცელი

№ 2262 პარასკევი, 12 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2262

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ერთი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

კბილის ექიმმა

ალ. სოლოღაშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. მიხეილის ქუჩა, № 32 (10—6)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლა

დაიწყებს მოქმედებას 15 სექტემბრიდან. ამ დღიდან მიიღებენ შეგირდებს და ყოველ გვარ საკერავს თეთრეულისას და ქალთა კაბებს შესაკერად.

ადრესი: ვერა, სახლი ა. გაბაშვილისა № 3 გაბაანთ ვიწრო ქუჩა. (Габаевскій переулокъ) (უ. 3—1)

გიორგი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე როსტომის ძე საბახტარიშვილები

აუწყებენ გარდაცვალებულის პირველის საყვარლის მეუღლის და მეორის რძლის

კასიანე (მობუ) ეფრემის ასულის საბახტარიშვილის

ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, 13 ამა სექტემბერს, ფოთის საკათედრო ტაძარში. (2—6.—2).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბედიმანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ჯიჯინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილისა, 10 ს.—11 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბედიმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი—ქალისა და საბებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

ბრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. ვ. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. კვირაობით შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. ვ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ცალკე საწოლი-ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გოლოვინსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б. (წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ-საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის კრიზისს ბოლო არ ელება. პირიქით, საქმე თანდა-თან უფრო-ც ირევა. პარტიებ შუა ნამდვილი ომია გამართული: დამოუკიდებლობის პარტია მთავრობის მომხრე პარტიას ებრძვის; ყველა პარტიის წევრებს ერთმანეთშიაც უთანხმოება და განხეთქილება მოსდით. სოციალისტები კიდევ ყველას წინააღმდეგ იბრძვიან. ამასწინად სოციალისტებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს, დამოუკიდებლობის პარტიას ომი გამოვუცხადოთო. სოციალისტებს ეთხოვნათ დამოუკიდებლობის პარტიისათვის, ერთად ვეცადნეთ, ჰუნგრეთში საყოველთაო საარჩევნო უფლება დაწესდესო. დამოუკიდებლობის პარტიას უარი უთქვამს ამაზე; სოციალისტებს ისე ეწყინათ ეს უარი, რომ ეხლა ომი გამოუცხადეს დამოუკიდებლობის პარტიას. ამის შემდეგ კრებამ პროტესტი გამოუცხადა მთავრობას: ჯარის კაცების ვადის შემდეგ სამსახურში დატოვება არ შეიძლებაო. კრებას 35 ათასამდე კაცი დაესწრო. ამას გარდა კრებას სამშვიდობო კონფერენციის წევრნიც ბევრნი დაესწრნენ (ეს კონფერენცია ვენაში იყო შეკრებილი); კონფერენციის ოთხმა წევრმა—ქ-ნმა სორგმა (საფრანგეთიდან), ბ-ნმა ლეო ფიურნემანმა (ბელგიიდან), დოქტორმა ვიქტორ ლალინიმ (იტალიიდან) და ალფრედ ბრიუსტლეინმა (შვეიცარიიდან), სიტყვები წარმოსთქვეს და დამსწრე ხალხს აუხსნეს, პროლეტარები ყველგან თანხმობით უნდა მოქმედებდნენო. უამისოდ სოციალ-დემოკრატების პროგრამმა არ ასრულდებაო.

◆ ჰუნგრეთში მედგრად თხოულობენ, ჰუნგრეთს ცალკე ჯარი ჰყავდეს და ამ ჯარში ჰუნგრული ენა იყოს ხმარებაშიო. მაგრამ იმპერატორი ფრანც-იოსებიც არა ნაკლების მედგრობით ეწინააღმდეგება ჰუნგრების მოთხოვნილებას. ამას წინად იმპერატორი გალიციაში ჯარის ალლუმს დაესწრო და ალლუმის გათავების შემდეგ ამნაირი ბრძანება გამოსცა. იმპერატორი ჯარის ქველობასა და ერთგულებას აქებს და შემდეგ ასე განაგრძობს:

„რაც უფრო მეტად ვაქებ საერთო ჯარის ერთგულებასა და თანხმობას, მით უფრო ვსთვლი ჩემს თავს მოვალედა და მით უფრო ძლიერა მსურს, რომ ჯარის ეხლანდელი წეს-წყობილება დავიცვა.

ზოგიერთი ჯარის წეს-წყობილების შერყევას ცდილობს, მაგრამ ჩემმა ჯარმა უნდა იცოდეს, რომ ჯარის უმაღლესი წინამძღოლი მე ვარ და ჩემს უფლებაზე არას დროს ხელს არ ავიღებ! ჩემი ჯარი ისევ საერთო და საზოგადო ჯარად დარჩება.

ჩემი ჯარი ამას იქითაც თავის ფიცსა და მოვალეობას მტკიცედ აასრულებს და ერთობისა და თანხმობის გზით ივლის. ჩემ ჯარში ეროვნულ თავისებურობას წინანდებურად პატივისცემით მოექცევიან, დიდ ეროვნულ სხვა-და-სხვაობას ცოტათი შეამცირებენ და ყოველ ხალხის შნოსა და ნიჭს მთელის ჯარის სასარგებლოდ გამოიყენებენ".

ამ ბძანებამ ავსტრო-ჰუნგრეთში ყველანი აალაპარაკა. ავსტრიის ოფიციოზურ გაზეთმა „ფრემდენბლატ"-მა იმედი გამოსთქვა, ეს ბრძანება ყველა ავსტრიელს დაამშვიდებს და დააწყნარებსო. ამას აქით, გაზეთის აზრით, ჯარის ერთობა დარღვეული აღარ იქნება. გაზეთი ჰფიქრობს, ეს დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული ბრძანება ჰუნგრეთის ნაციონალისტებს ჭკუაზე მოიყვანს და თავიანთ ვიწრო ეროვნულ მოთხოვნილებას შეამცირებინებსო. ჰუნგრეთის ხალხს კი, რასაკვირველია, ჭკუაში არ მოუვიდოდა იმპერატორის ბრძანება; როგორც გუშინდელ დეპეშიდან სჩანს, დამოუკიდებლობის პარტიას კრება მოუხდენია და დაუდგენია, ამ ბძანების თაობაზე პროტესტი გამოვუცხადოთ მთავრობასო.

გერმანია. 3 სექტემბერს დრეზდენში გერმანელ სოციალ-დემოკრატების წლიური კონგრესი დაიწყო.

არჩევანში გამარჯვებამ სოციალ-დემოკრატებს 23 ახალი დეპუტატი მოუმატა. გერმანიის რეიხსტაგში ეხლა ყველაზე მეტი დეპუტატი კათოლიკეთა პარტიას (ცენტრსა) ჰყავს და მერე სოციალ-დემოკრატებს. ამიტომ სხვა პარტიებივით სოციალ-დემოკრატებსაც უფლება აქვთ, თავიანთ პარტიის წევრი რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიონ. ამ საქმეზე სოციალ-დემოკრატიის პარტიაში დიდი დავა ასტყდა, ავარჩიოთ ჩვენი ვიცე-პრეზიდენტი თუ არაო. ბერნშტეინი, ფოლმარი, გეინე და სხვა რევიზიონისტები იმ აზრისანი არიან, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი უფლებით უნდა ისარგებლონ და რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტად თავიანთი კაცი უნდა აირჩიონო. ბებელი და ყველა იმისი მიმდევრები უარზე დგანან და დიდ წინააღმდეგობას უწევენ რევიზიონისტებს. საქმე იმაშია, რომ რეიხსტაგის გახსნის წინ, რეიხსტაგის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები მოვალენი არიან სასახლეში წავიდნენ და იმპერატორს წარუდგნენ, სოციალ-დემოკრატები კი თავის დღეში სასახლეში არ წასულან; არა თუ იმპერატორს არა ჰხლებიან, როცა კანცლერი რეიხსტაგში იმპერატორის მაგიერ სეფე-სიტყვას ჰკითხულობდა, სოციალისტები მაშინაც კი რეიხსტაგიდან გადიოდნენ ხოლმე. სოციალისტი ვიცე-პრეზიდენტი კი მოვალე იქნება, სასახლეში იაროს და იმპერატორს წარუდგეს. აი, ამაზე მოსდით სოციალ-დემოკრატებს კამათი. ბებელი და იმისი მიმდევრები ამბობენ, ჩვენ ძველ ტაქტიკას ნუ ვუღალატებთ, ვიცე-პრეზიდენტობა და იმპერატორის სასახლეში სიარული ჩვენ პარტიას კომპრომისებს შეაჩვევს და მხოლოდ ზარალს მოუტანსო.

5 სექტემბერს სოციალ-დემოკრატების კონგრესზე ბებელს ამ საქმეზე გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს. ბერლინელი კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს „რუსკია ვედომოსტი"-ს:

„მუშების პარტიის დღევანდელ სხდომაზე ბებელმა 3½ საათი ილაპარაკა და მეტად მკაცრად გაჰკიცხა ფოლმარი და რევიზიონისტების ტაქტიკა. ორატორმა სთქვა: ფოლმარი ბავარიის მეფეა, გვირგვინი-ღა აკლიაო, ეგ არის ბავარიის სატახტო ქალაქის მიუნხენის თბილმა ჰავამ მოადუნაო. ჩვენი პარტია იმითაა ძლიერი, რომ კომპრომისი ყოველთვის სძულდაო. თუ რევიზიონისტების წინადადებას დავსთანხმდით და მარტო ბურჟუაზიულ საზოგადოების ცოტაოდენ ცვლილებას დავჯერდით, ჩვენი პარტია უსათუოდ დაიშლება. რევიზიონისტები—მთავარი შტაბია უჯაროდ. ხალხის უმეტესობას დიპლომატიური ტაქტიკა როდი ესმის. ჩვენი პარტიის გამარჯვება გვავალებს, რომ უფრო ბრძოლის ტაქტიკას დავადგეთო. ორატორი ამბობს, ბურჟუაზიულ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოსისხლე მტერი ვარ და ვცდილობ, ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფუძველი შევარყიო და თუ შეიძლება, სულაც დავანგრიო (ხანგრძლივი ტაშის ცემა). ბებელმა შემდეგი რეზოლიუციის დადგენა ურჩია კრებას:

„კრებას ჰსურს რეიხსტაგში თავის პარტიის ვიცე-პრეზიდენტი და მდივანი იყოლიოს, იმ პირობით-კი, რომ ვიცე-პრეზიდენტსა და მდივანს სასახლის წრეებთან არაფერი კავშირი არა ჰქონდეთ. კრება ჰკიცხავს რევიზიონისტებს და თხოულობს, რომ ამას იქით ჩვენი პარტია უფრო გაბედვით იბრძოდეს, სანამ აქამდე იბრძოდაო." როგორც ეტყობა, კრება მიიღებს ამ რეზოლიუციას, და რევიზიონისტები დამარცხდებიან. უმეტესობა ბებელის მხარესაა."

მაკედონია. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ს ატყობინებენ: ბიტოლიის ვილაეტში ოსმალეთის მუდმივი ჯარი და ბაში-ბუზუკები მხეცობასა და ულმობელობაზე დღესაც არ იღებენ ხელსა. თუმცა ბერლინის კონგრესის დადგენილებით ოსმალეთს ნება არა აქვს, ბაში-ბუზუკები ჯარში აიყვანოს, მაგრამ ბიტოლიის სამხედრო უფროსები ყოველ დღე ვილაც ოხერ მაწანწალებს ასობით იყვანენ, ხელად სამხედრო ტანისამოსს აცმევენ და საბრძოლველად ჰგზავნიან. ერთ ინგლისელ ოფიცერს წარსულ კვირას ცხენით გამოევლო ოხრიდიდან ბიტოლიამდე. ოფიცერი ამბობს: ამ გზაზე წინად დიდი მოძრაობა იყო, ყოველთვის ხალხით იყო სავსე, ეხლა-კი სულ დაცარიელებულიყო, ერთი კაცი, რა არის, არ შემხვედრია, მხოლოდ დიდ-ძალი ადამიანის მოკვეთილი თავები ეყარა ყველგან. ასე გაუოხრებიათ და გაუნადგურებიათ ეს ქვეყანა ფანატიკოსს და ბარბაროს ოსმალებს. ბიტოლიის ჯარის უფროსს ნასირ-ფაშას რამდენჯერმე ეთქვა ევროპის კონსულებისათვის: „გარწმუნებთ, მაკედონელები ამას იქით ვეღარ აჯანყდებიანო."

◆ „ავტონომია" იუწყება, ამ ჟამად სოლუნისა, უსკიუბისა, ბიტოლიისა და ადრიანოპოლის ვილაეტების ციხეებში 2,800 ბოლგარი ზისო.

ახალი ამბავი

◆ როგორც მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, **შავის ზღვის პირად**, იმ ადგილებში, რომელიც უკანასკნელ ომის შემდეგ რუსეთს შემოუერთდა, დიდი დავაა მამულების გამო ხაზინასა და კერძო მემამულეებს შორის. რადგან მიწის მფლობელობის საქმე გამორკვეული არ იყო, ამიტომ დღემდე ხაზინას უსათუოდ ყველა მემამულესთვის უნდა აეტეხა დავა. ასეც იქცეოდა. ეხლა, როგორც პეტერბურგიდან „კავკაზ."-ს ატყობინებენ, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება მიეცა, ყველა მფლობელს არ აუტეხოს დავა. ამიერიდან მინისტრზე იქნება დამოკიდებული, ვის აუტეხოს დავა და ვის არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ წელს **იურიევის უნივერსიტეტის** საექიმო ფაკულტეტზე ორი ქართველი ასრულებს სწავლას: თ. ბურჯანაძე და კ. რობიტაშვილი. საზეითლო ინსტიტუტი—გ. მამამთავრიშვილი. წელს მიუხედავად იმისა, რომ სემინარიებიდან, წინა წლებთან შედარებით, იურიევის უნივერსიტეტში ძლიერ ცოტა მთხოვნელი იყო, ქართველი მაინც არ მიიღეს. მიზეზად ამბობენ ლათინურ ენის უცოდინარობას, რასაც წარსულ წლებში ყურადღებას არ აქცევდნენ. საზეითლო ინსტიტუტშიაც უარი უთხრეს ქართველ მთხოვნელებს.

◆ როგორც ამას წინად აღვნიშნეთ, ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დააარსოს **შრომის სახლი**. გუშინ ქალაქის მცხოვრებმა, 72 წლის მოხუცმა, ანნა ავეტოვმა განუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ მაქვს მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილება, პროპკის ქარხნისათვის საჭირო, და რადგან ამ ქარხანაში შეუძლიანთ შრომა როგორც მოხუცთ, ისე ბავშვებსა და ქალებსაც, ამიტომ ვწირავ ქალაქის გამგეობას აღნიშნულ ქარხნის მოწყობილებებს, რომ იგი შრომის სახლთან მოეწყოს, იმ პირობით-კი, რომ სიცოცხლეში სარჩენი ფული მაძლიოს ქალაქის გამგეობამ და სიკვდილის შემდეგ-კი მთელ ჩემ ცხოვრებას ქალაქს გადავცემო.

◆ იმ კომისიამ, რომელსაც **ტრაქტირების გახსნის** ნება-რთვა აქვს ჩაბარებული, შეიმუშავა მოხსენება იმის შესახებ, სად უნდა გაიხსნას მაგარ სასმელების დუქნები და სად არა. კომისიის აზრით, ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც მუშა ხალხი სცხოვრობს, მაგარ სასმელების დუქნების გახსნის ნება არავის არ უნდა მიეცეს.

◆ როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს შეუტყვია, მთავრობას $2^1/_2$ მილიონი მანეთი გადაუდვია ნოვოროსისკიდან სოხუმამდე ზღვის პირად **საავტომობილო გზის გასაკეთებლად**. ეს გზა იმიტომ გაჰყავთ, რომ რკინის გზა ძალიან დაიგვიანებს.

◆ ქუთაისიდან სტუდენტების ქოჩიაშვილისა, ლოსაბერიძისა, იამანიძისა და ფანცხავასაგან დეპეშა მივიღეთ. გვწერენ: იურიეველ სტუდენტების მწუხარებას ჩვენსასაც ვუერთებთ ძვირფას ამხანაგის **სტუდენტ ბასიშვილის** ასე საცოდავად დაკარგვის გამოო.

◆ ტფილისის **იმ ორ სტიპენდიაზე**, რომელიც დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზეა პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში, 13 ქალმა შეიტანა თხოვნა ქალაქის გამგეობაში. 10 სექტემბერს ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ სტიპენდიანტების კანდიდატებად ჩარიცხა კნ. არღუთინსკისა და ბაქრაძე.

◆ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას როგორც წინად, ეხლაც უშუამდგომლოს ქალაქის წინაშე, რომ ტფილისში არსებულ **ორ-ქართულ სამკითხველოს** შემწეობა აღმოუჩინოს ასასი მანეთით.

◆ **ვაზზეგის სკოლის გამგემ**, ვერა მიქაბერიძემ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რომ ამ სკოლის წარსულ წლებისამებრ მიეცეს 200 მანეთი.

◆ როგორც „კავკაზ“-ს ბაქოდან დეპეშით ატყობინებენ, 10 სექტემბერს, ღამე ბიბიეიბათში **ცეცხლი გაჩენილა**. გადამწვარა 30 ნავთის კოშკამდე, საწყობები და აუზები. ცეცხლ-მოკიდებული ნავთი ზღვას შეჰრევია, სადაც დამწვარა რამდენიმე ნავთსაყუდელი და ნავთის ნავი. ცეცხლი ჯერ არ ჩამქრალა თურმე.

◆ ხვალ, 13 სექტემბერს, **ხორცის დუქნების** გამგე კომისიამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, ანგარიში დუქნების შემოსავალ-გასავლისა. დუქნების დაარსებიდან დღევანდლამდე არავინ იცის რა მდგომარეობაშია ქალაქის დუქნები შემოსავლის მხრივ. ამ დუქნებზე დღემდე ქალაქმა 70,000 მანეთამდე დახარჯა.

◆ **„კავკაზ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ**: გამოქვეყნებულია ორი ბრძანება, ერთი შეეხება იმას, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ნორმალურ სკოლის სასწავლებელს მიენიჭოს სახელმწიფო სამსახურის უფლებანი, მეორე—მთავარ-მართებელს ნება მიეცეს ჩერნომორის გუბერნიისთვის გამოანაწილოს ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯიდან საჭირო რიცხვი დარაჯებისა.

◆ ეგზამენები **ერთ-მუნჯთა სკოლაში** მოხდება 21 სექტემბერს, შემდეგ სწავლა დაიწყება.

◆ ტფილისელ **მებადეებს განუზრახავთ ამხანაგობის დაარსება** თავიანთ საქონლის გასასაღებლად.

◆ ეკატერინე ნადირაძემ შესწირა ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას 300 ოთხ. კვთ. საჟენი მიწა დიდუბისა და ბათუმის ქუჩების შესართავთან. ქალაქის გამგეობას, შემწირველის სურვილის თანახმად, განზრახვა აქვს ამ ადგილზე სკოლისათვის ახალი შენობა აგოს.

◆ გუშინ ტაშკენტის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას აცნობოს, აქვს თუ არა ქალაქის გამგეობას ღამის თავშესაფარები, ვისი ფულით ინახება, რამდენი კაცი საჭირო ყურის საგდებლად და სხვ.

◆ 9 სექტემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა თ. ნიკოლოზ მიქელაძისა და იგანე აბაშიძისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ დანაშაულობის ჩადენისათვის ბრალდებულთ გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 4 წლით კატორღაში გაგზავნა. პალატაში ექსპერტების თხოვნით საჭიროდ სცნეს ზოგიერთ ცნობის შეკრება, ამიტომ საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადასდეს.

◆ ამას წინად, როგორც მკითხველებს ახსოვთ, საქონლის მატარებელი ნავთლუღსა და ტფილისს შუა დაეჯახა „დრეზინას“, დაამსხვრია „დრეზინა“ და მოჰკლა ზედ მჯდომი უფროსი ხელოსანი დემეტრაშვილი. რკინის გზის გამგეობას განსვენებულის ოჯახისთვის 2500 მანეთი გაუღია და ამ დღეებში ჩააბარებს ობლებს, გარდა იმ შეგროვილ ფულისა, რომელსაც ჯამაგირიდან უჭერდნენ.

◆ 9 სექტემბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ირაკლი ასათიანისა, რომელიც ციმბირიდან გამოქცეული და ყაჩაღობა დაუწყია. ყაჩაღობისთვის ამას წინად პალატამ გადაუწყვიტა ასათიანს უვადოთ კატორღაში გაგზავნა და 40 როზგის დაკვრა. ამ წლის ივნისში გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც გაუქმებული იქნა გაროზგვა იმ დანაშაულობისთვის, რომელიც ბრალდებულს ასათიანს ჩაუდენია. ამის გამო პალატაში საკითხი აღიძრა, გაანთავისუფლონ ასათიანი გაროზგვისაგან თუ არა. სამოსამართლო პალატამ, აღნიშნულ კანონის თანახმად, დაადგინა განთავისუფლებულ იქნას ასათიანი როზგის დარტყმევისაგან.

◆ გუშინ კირპიჩნი ქუჩაზე ეტლი დაეჯახა ერთ კაცს, რომელიც მსუბუქად დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

შინ და გარედ

7.

სოფელში ერთი მოყვარე მყავს, დარბაისელი აზნაურიშვილი ესიკელაი კვაჭანტირაძე. მეტად უყვარს დალოცვილს მაღალ პოლიტიკაზე ბაასი. განსაკუთრებით ბურების ომის შემდეგ დიდ დიპლომატად გადაიქცა და სულ გარეშე პოლიტიკაზე მუსაიფობს. ახლა, როგორც სჩანს, მაკედონიის საქმეებს დაუინტერესებია და საყვედურსა მწერს: „შე დალოცვილო, განა, რას ჩასციებიხარ ამ „ნოვ. ვრ.“-ს, რუს ლიბერალებს და კიდევ ვიღაცეებს? ის არ სჯობია, ხვანთქრის ამბებზე სწერო?! ცოტა არ იყოს დავიბენი, ვეღარა გავიგე-რა, ბულგარიას, მაკედონიასა და ხვანთქარს რა მოსდით. აბა ერთი გამაგებიე, სად არის ძაღლი ჩამარხული.“

საქმეც ის არის, ჩემო ესიკელა, რომ ამაების გაგება მეტად ძნელია! ეშმაკმა იცის დიპლომატების თავი: საქმეს ისე დახლართავენ და დააბნელებენ, რომ ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს...

ვიცით, რომ მაკედონელთ სასიამოვნო ცხოვრება არა აქვთ და კარგა ხანია ჰფიქრობენ ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დახწევას. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ასეთს აშკარა აჯანყებას ვერ გაჰბედავდნენ, თუ ვისმეს იმედი არ მიუცია შველა-დარიგებისა. ეს იმედის მიმცემი უთუოდ მძლავრი ვინმე უნდა იყოს. ვინ არის ეს მძლავრი ვინმე, რომელმაც ასე საშინლად არივ-დარია საქმეები და რას გამოელის თავის პოლიტიკიდან? რათ დაუხვევია ხელზე მაკედონელთა უბედურება და რა მიზანი აქვს სახეში?

აი რა არის ძნელი გამოსაცნობი. წინად რუსეთში, ამგვარ შემთხვევის დროს, უთუოდ იტყოდნენ „англичанинъ гадитъ“; ყოველისფერს „ინგლისის ვერაგობას“ აბრალებდნენ. ახლაც თუ ინგლისი ურევს, უნდა სიმართლე ვსთქვათ, მეტად ხერხიანად ჰმალავს თავის ოინებს. ეს-კია რომ უახლოესი საგანი, რომელიც უნდა ჰქონდეს „უცნობ ანგლიჩანინ“-ს, არც ისე ძნელი გამოსაცნობია: ალბად, ვისმე ჩათრევა უნდათ ომში. ვისიო, მკითხავს უთუოდ ცნობის მოყვარე ესიკელა, მაგრამ ამაზე პასუხის მიგება ასე ადვილი აღარ არის.

ესეც-კია, ჩემო ესიკელა, ჯერ-ჯერობით ყოველი ცდა ამაოდ რჩებათ: ომს ვერავინ ჰბედავს. წინად ბუზსაც არ დავისვამდით, მაშინვე ხანჯალს ვეცემოდით; ახლა-კი ფილოსოფიურად შევსცქერით ყველაფერს. რათაო, უთუოდ მეცემა ყელში გულუბრყვილო ესიკელა. მაგრამ ამაზედაც ვერ მიიღებს ჩემგან პასუხს. შემიძლია მხოლოდ „ნოვ. ვრ.“-ს გუშინდელ წერილზე მივუთითო, რომელიც, ცოტა არ იყოს, განუფანტავს ბურუსს ჩემს ესიკელას, თუ მართლა არ ესმის, რათ ვერ ჰბედავენ ახლა ომს ზოგიერთი დიდი სახელმწიფონი. „ნოვ. ვრ.“ გვამცნობს, როს ამის მიზეთი მათ შინაურ საქმეებში უნდა ვეძიოთო...

ასეა თუ ისე, მახლობელ აღმოსავლეთში საქმეები ძალიან აიწეწა. კიდევ ერთი ნაპერწკალი და შეიძლება დიდი ალიც ამოვარდეს. მაშინ, ვინ იცის, იქნება თავი ვეღარ შეიკავონ და „საიდუმლო ანგლიჩანინ“-ის გულის ნადებიც განხორციელდეს.

არც შორეულს აღმოსავლეთშია მშვიდობა და სათნოება. იქ იაპონია არც-კი ჰმალავს თავის განზრახვებსა და ენერგიულად „ურევს“ საქმეებს. კორეა და მანჯურია ნურავისი იქნება, ხოლო, თუ უთუოდ ვისმესი საკუთრება უნდა გახდეს, ისევ ჩემი იყოსო. ამის განსახორციელებლად იაპონია ძალიან დაუახლოვდა ჩინეთს, წრთვნის და აახლებს ძველ ჩინეთს, რადა შემდეგ წინ წარუძღვეს მოსულთა შორეულ აღმოსავლეთიდან გამოსადევნად.

ასე და ამგვარად, შორეულსა და ახლობელს აღმოსავლეთშიაც მზადდება ამბები, რომელთა შედეგი, ვინ იცის, რაოდენ მძიმე და სახიფათო იქნება!...

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ „ვესტნ. იუგა“-ს დეპეშით ატყობინებენ: უეცრად შესწყვიტეს სადღესასწაულო სხდომა ქალაქის საბჭოში კოტლარევსკის

ფელეტონი

პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

III

დიდი გაზეთები*)

დიდ გაზეთებს ინგლისში გოლიათებს ეძახიან და მართალიც არის: არსად ისეთი უზარმაზარი გაზეთები არ არის, როგორიც ინგლისშია. თვითეული ნომერი ათ-თოთხმეტჯერ იმაზე მეტ მასალას იტევს, რამდენიც ჩვენებურ გაზეთის ერთ ნომერშია. ქართველ მკითხველს, ეჭვი არ არის, გაუგონია ამ დიდ გაზეთების სახელები. თითქმის ყველა ნომრის უცხოეთის ამბებსა და დეპეშებში შეჰხვდება კაცი ამა თუ იმ დიდ გაზეთის სახელს. აი ეს გაზეთები: „ტაიმს“, „სტანდარდ“, „დაილი ნიუს“, „დაილი კრონიკლ“, „დაილი ტელეგრაფ“ და „მორნინგ პოსტ“.

ამ გაზეთებს კარგა ხანია სახელი აქვთ გავარდნილი მასალის სიმრავლით, საქმის ცოდნით, და მშვიდობიანის კილოთი. ზრდილობა ამ გაზეთების თანამშრომლებს არ ესწავლებათ. იყო დრო, როდესაც დიდი გაზეთები პოლემიკის დროს უზრდელისა და უშვერის სიტყვებით იხსენიებდნენ ერთმანეთს. დღეს არც ერთ თვალსაჩინო გაზეთის პუბლიცისტი ურიგო სიტყვით არ მოიხსენიებს მოწინააღმდეგეს ან იმის აზრებს. ბევრჯელ ინგლისელი პუბლიცისტი „ეგ სიცრუვეა“-ს მაგიერ ამბობს: „იძულებული ვარ ის სიტყვა ვიხმარო, რომელიც სამ ასოს შეიცავს“-ო (ინგლისურად „სიცრუვე“ სამი ასოთი გამოითქმის). მეორე ნიშნობლივი თვისება დიდ გაზეთებისა მიუდგომლობაა. შეუძლებელია „ტაიმს“-მა, „სტანდარდ“-მა ან სხვა გაზეთმა სავსებით არ დაჰბეჭდოს მოწინააღმდეგე დასის ორატორის სიტყვა, თუნდაც ამ სიტყვაში ორატორი მიწასთან asწორებდეს გაზეთის მომხრეებს. არც იმას იკადრებს გაზეთი, რომ ორატორის სიტყვას აქა-იქ შენიშვნები გაუკეთოს ან ფრჩხილებში ჩაუმატოს რამ, გაკვირვებითი ნიშნები დასვას, როგორც ეს საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვაგან იციან. საზოგადოდ, სხვის პიროვნებისა და აზრის პატივისცემა კარგა ხანია შეიგნეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა. „ზოგიერთნი კულტურის საზომად იმასა ხმარობენ, რამდენად აქვს ხალხს შეგნებული სხვის პიროვნების პატივისცემა. თუ ამ საზომს მივიღებთ, ინგლისი უკულტურესი სახელმწიფო აღმოჩნდება მთელ დედამიწაზე“.

საოცარია ინგლისურ გაზეთის მასალის სიმრავლე, დიდ გაზეთის თვითეულ ნომერში მოთავსებულია: პოლიტიკური ცნობები, დედამიწის ყველა კუთხიდან საკუთარ კორესპონდენტების მიერ დეპეშით გამოგზავნილი, ქრონიკა ევროპის ყველა სატახტო ქალაქის ცხოვრებისა, შემდეგ ანგარიშები, ანგარიშები და ანგარიშები: პარლამენტის სხდომისა, თვალსაჩინო ლექციისა, გუშინდელ მიტინგისა, მუშათა მოძრაობისა, საკროკეტო თამაშობისა, დოღისა, სასამართლოებისა, ახალ გადასახადებისა და მრავალ სხვათა. ანგარიშები იწერება სავსებით, თუმცა გაჰიანურებული არ არის, კარგისა და მკაფიო ენით. ინგლისელი ორ რამეს თხოულობს თავის გაზეთისაგან: მიუდგომლობას და ფაქტებს. იქაურ მკითხველს არაფერი ისე არ ეჯავრება, როგორც ანგარიშის შემდგენელის „კერძო მოსაზრებანი და შთაბეჭდილებანი“. გაზეთი, რასაკვირველია, თავის აზრს ამბობს. დიდ გაზეთის მეოთხე გვერდზე იბეჭდება ეგრედ წოდებული მეთაურები, ხშირად ხუთი, ექვსი და ათი მეთაურიც, სადაც რედაქცია ჰხსნის, როგორც თვითონ ესმის, ამა თუ იმ მოვლენას, ორატორის სიტყვას ან სხვა რამ საქმეს. რაც შეეხება ფაქტს, ყოვლად შეუძლებელია სერიოზულმა გაზეთმა ან მიჩქმალოს ან სხვა რიგად გადასცეს მკითხველებს.

დიდ გაზეთებს შორის ჯერ ისევ „ტაიმს“-ი პირველობს. ლონდონის შუაგულში ერთი უბანია, სახელად სიტი, რომელსაც სიმდიდრით ვერც ერთი ქალაქი და კუთხე დედამიწისა ვერ შეედრება. აქაა უზარმაზარი ფირმები, რომელნიც მთელ დედამიწასთან აღებ-მიცემობენ. აი, ამ უბნის გაზეთად ითვლება „ტაიმს“-ი. მიუხედავად ამისა გაზეთს დიდი სახელი აქვს და, განსაკუთრებით, ჰქონდა წინად. „ტაიმს“-ი მსოფლიო ორგანოდ გადაიქცა,—სწერდა ერთი ჟურნალისტი 30 წლის წინად.—ამ გაზეთსა სთხოვს მფარველობას ყველა, ვინც დაჩაგრულად სთვლის თავს: მეფე, რომელსაც ტახტი ჩამოართვეს, ლაქია, რომელიც ადგილიდან გააგდეს, დედა, რომელმაც ქუჩაში ბავშვი დაჰკარგა და სხვანი. „ტაიმს“-ის ხმა ყველგანა სწვდება, ყველას შიშის ზარსა სცემს“.

დიდი სახელი „ტაიმს“-ს ოდესღაც მოუპოვა მიუდგომლობამ და იმან, რომ ყოველთვის ფხიზლად სდარაჯობდა საზოგადოებრივ ინტერესებს. უკან დახევა, სიტყვის ჩაყლაპვა მაშინ „ტაიმს“-მა არ უწყოდა. ვიქტორიის დედოფლობის დროს, ქმარი ვიქტორიასი, პრინცი-მეუღლე ზოგჯერ იქ წაატანდა ხოლმე ხელს, სადაც უფლება არა ჰქონდა. „ტაიმს“-ი ყოველთვის შეაყენებდა ხოლმე პრინცს და ეტყოდა, ეგ შენი საქმე არ არისო. საზოგადოდ გაზეთი არ არჩევდა ძლიერსა და უძლურს მოწინააღმდეგეს, ყველას ერთნაირად ებრძოდა. ამ მხრივ „ტაიმს“-ი წინ მიუძღოდა და ტონს აძლევდა ინგლისის სხვა გაზეთებს. რა თქმა უნდა, სიტის ინტერესებს გაზეთი მაშინაც გულმოდგინედ ემსახურებოდა, მაგრამ იმის დროშაზე მაინც სიმართლე და მიუდგომლობა ეწერა. „ტაიმს“-მა პირველმა დაიწყო „ჯვაროსანთა ომი“ ქარხნებში მცირე წლოვან ბავშვების მუშაობის წინააღმდეგ. გაზეთმა შეადგინა განსაკუთრებული შტატი ინსპექტორებისა, რომელთაც ეს საქმე გამოაკვლევინა და მთელი ინგლისი განაცვიფრა. აღმოჩნდა, რომ

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველის კურთხევის შესახებ გამართული თეატრში. მიზეზი ის არის, რომ სხდომაზე მოლოროსიულ ენაზე დაწერილი ადრესები წაიკითხეს. ქალაქის საბჭოს განზრახვა აქვს ეს გარემოება სენატს აცნობოს განსახილველად.

◆ მთავრობას გაუგზავნია ციმბირის იმიერ-ბაიკალის მხარეში გენერალი პოპოვი კატორგის ყველა დაწესებულებათა სარევიზიოდ. პოპოვმა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს უფროსთა და ხელ-ქვეითთა შორის დამოკიდებულების განწესრიგებას. უნდა შეადგინოს ციმბირში გადასახლებულთა და კატორგაში მყოფთა ოჯახებისათვის მზრუნველი საზოგადოება. გენერალ პოპოვს ამ საქმეში დახმარებას გაუწევს პეტერბურგიდან სტატს-დამა ნარიშკინისა.

◆ ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში სტუდენტათ მიუღიათ ვიღაც ბ—ოვი, რომელიც წინად ციმბირის გზაზე უფროს მუშად იყო თურმე, შემდეგ კონდუქტორის ადგილი მიუღია, მომზადებულა და წელს კრასნოიარსკის გიმნაზიაში ეგზამენი დაუჭერია, სიმწიფის ატესტატი მიუღია და სამეტოქეო ეგზამენი დაუჭერია ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. ბ—ოვი 30 წლის ახალგაზდა კაცი ყოფილა.

◆ ამ ბოლო დროს ოდესის სახელოსნო გამგეობაში ბევრ მეჩექმეთა შეგირდებს შეუტანიათ საჩივარი თავის პატრონებზე, სახელოსნო გამგეობისაგან დანიშნულ დროზე მეტს გვამუშავებენ და მოსვენებას არ გვაძლევენო. სახელოსნო გამგეობამ განიხილა ყველი საჩივარი და დაადგინა, მიენდოს მეჩექმეთა ამქრის უსტაბაშს სასტიკი გამოძიება მოახდინოს და პასუხის გებაში მისცეს წესის დამრღვევი ყველა მეჩექმეები.

თავის საჩივარში შეგირდები იმასაც ამბობდნენ, რომ უსტაბაში უყურადღებოდ ეკიდება იმათ, პატრონების მხარე უჭირავს, რადგან ეშინია კენჭის ყრაზე არ გააშავონ.

სახელოსნო გამგეობამ დაადგინა, შენიშვნა გამოუცხადოს უსტაბაშს და გაახსენოს მას, რომ პირად სარგებლობისათვის კი არა, საზოგადო საქმის ასრულებისათვის არის იგი მოწოდებული.

◆ ნიჟნი-ნოვგოროდის სავაჭროებში ნოქრები 14—18 საათამდის მუშაობენ დღეში. ნოქრებს კრება მოუხდენიათ და თავის საზოგადოების გამგეობისათვის მიუნდვიათ, აღძრან შუამდგომლობა სამუშაო დროს 12 საათამდის შემოკლების შესახებ. გამგეობამ არ აასრულა ნოქრების მინდობილება და გადასწყვიტეს, ჩერნიგოვის ნოქრებს მიჰბაძონ და თვითვე უშველონ თავის გაჭირვებას.

◆ 23 აგვისტოს ქ. შავლის სასამართლოში გარჩეულა საქმე 300 გლეხის შესახებ, რომელნიც გზის სამუშაოზე არ გამოსულან. მოსამართლეს თვითეულ გლეხისათვის 50 კაპ. ჯარიმა გადაუწყვეტია, თუმც საკუთრების მიხედვით ამ გლეხთა შორის დიდი განსხვავება ყოფილა, ზოგს $1/2$ დესეტინა ადგილზე მეტი არა ჰქონია, ზოგს კი 60 დესეტინა აქვს თურმე. დაჯარიმებულმა ღარიბმა გლეხებმა გამოაცხადეს, 50 კაპ. ადვილად გადიხდიან ჩვენი მდიდარი მეზობლები, რადგან სამუშაოზე მოსვლა უფრო ძვირად დაუჯდებათო. ღარიბ გლეხების პროტესტისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია სასამართლოს.

◆ თუმცა ყირიმიდან ოსმალეთში გადასახლებულ თათრების შესახებ ცუდი ამბები მოდის, გადასახლება მაინც არ შეჩერებულა თურმე. ფეოდოსიიდან ამას წინად ბევრი თათარი გამგზავრებულა გემით ოსმალეთში.

◆ ტვერის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულების დასწრებით გაურჩევიათ ადგილობრივ ქარხნის მუშის, ფეიქრის ლოგინოვის საქმე. ლოგინოვის დანაშაული ის არის, რომ მან მოიწადინა ქარხნის დირექტორის ინგლისელ კუკის მოკვლა იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი დილით ათვალიერებდა ქარხანაში მუშაობას. ლოგინოვმა რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი კუკს და მსუბუქად დასჭრა მხარში. შემდეგ წავიდა ქარხნიდან, თვითონ გამოცხადდა პოლიციაში, უამბო ყველაფერი პოლიცმეისტერს და გადასცა რევოლვერი.

ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი მურავიოვი, რომლის სიტყვას სასამართლოში დამსწრენი აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგებნენ. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ბრალდებული. ლოგინოვმა და მისმა მოხუცებულმა დედამ მუხლ-მოდრეკით მადლობა გამოუცხადეს დამცველს. მუშებმა 400 მან შეაგროვეს დამცველისათვის შრომის ჯილდოთ, მაგრამ მან უარი უთხრა და სთხოვა მუშებს, რომ თავის გამართლებულ ამხანაგს გადასცენ ეს ფული.

† ბასილ ბასიშვილი

29 აგვისტოს დორპატელ ქართველ სტუდენტობამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო და ნიჭიერი ამხანაგი. 28 აგვისტოს დორპატში ჰქროდა ძლიერი ქარი, რაც აქ იშვიათი მოვლენაა. ღამის პირველ საათზე, ე. ი. იმ დროს, როდესაც მთელი ქალაქი ღრმა ძილში იყო, გაჩნდა ცეცხლი სოლანაიას ქუჩის ერთ ხის შენობაში. ცეცხლი ისე მსწრაფლად გაძლიერდა, რომ თითქმის რამდენისამე წუთის შემდეგ მთელ შენობას ირგვლივ მოედო. მრისხანე ქარი ყოველ მხრივ ისროდა გაძლიერებულ ალს. აუარებელი ხალხი და ცეცხლის-მქრობელი რაზმი თითქმის ერთის საათის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა, რადგან მიდგომა და მუშაობა ყოვლად შეუძლებელი იყო. აი, სწორედ ამ დროს მშობელთა, ნათესავთა და ამხანაგთ მოშორებული იწვოდა, როგორც მსხვერპლი საკურთხეველზე, ორი სტუდენტი და იმათი კვნესა-გოდება ქარის ზუზუნში იკარგებოდა. ერთი ამ მსხვერპლთაგანი იყო ქართველი სტუდენტი ბასილ ბასიშვილი, მეორე ესტონელი იყო. ასე უმოწყალოდ გამძვინვარებულმა ცეცხლმა გამოგვტაცა ხელიდან ერთი საუკეთესო ამხანაგი.

ბასილ ბასიშვილი გორის მაზრის ღარიბ მღვდლის შვილი იყო. პირველად სწავლა მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც პირველ მოწაფედ დაასრულა და შემდეგ ტფილისის სემინარიაში განაგრძო სწავლა. სემინარიაში მასწავლებელი და ამხანაგები იცნობდნენ განსვენებულს, როგორც ნიჭიერს, დაკვირვებულს და ბეჯითს ახალგაზდას. 1899 წ. ბასილმა სემინარიაში სწავლა დაამთავრა საუკეთესო მოწაფედ და ამავე წელს დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებელში აღმზრდელად, რადგან ნივთიერი ხელ-მოკლეობა ნებას არ აძლევდა მაშინვე სწავლა განეგრძო. აღმზრდელად განსვენებულმა ერთ წელიწადს დაჰყო, მაგრამ ამ ცოტა ხანშიაც დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა.

მაგრამ ბასილს მოსვენებას არ აძლევდა უმაღლეს განათლების მიღების სურვილი. როგორც ნიჭიერი და ცნობის მოყვარე ყმაწვილი, მიისწრაფებოდა მეცნიერების მისაღებად და 1900 წ. გაეშურა კიდეც დორპატისაკენ, სადაც დაიჭირა მისაღები ეგზამენები და ჩაერიცხა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ახალგაზრდა კაცი მხნედ შეუდგა მეცნიერების შესწავლას. მაგრამ ამასთან ბასიშვილი არ ივიწყებდა სამშობლო ქვეყნის ცხოვრებასა და მწერლობას. სწერდა მოთხრობებს და ჰბეჭდავდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ერთი მოთხრობა 1900 წელს დაიბეჭდა „ივერია“-ში, მეორე მდგომარე წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში (№-105) დაიბეჭდა ამ სათაურით „დამნაშავე“! განსვენებულს მრავალი ხელნაწერი ჰქონდა, მაგრამ ისიც ავტორთან ერთად დაიწვა.

1901 წ. განსვენებული სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისთვის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს ერთის წლის ვადით. მიმდინარე წლის დამდეგს ბასილი ისევ დაბრუნდა უნივერსიტეტში სწავლის განსაგრძობად, მაგრამ... მაგრამ ასე მოულოდნელად და გულსაკლავად დაჰკრა იმის სიცოცხლის უკანასკნელმა წამმა.

განსვენებულ ბასიშვილის გვამი, რომელიც 29 აგვისტოს იმსხვერპლა ცეცხლმა, ბევრის ძებნის შემდეგ იპოვნეს მესამე დღეს შენობის ნანგრევებში. 31 აგვისტოს განსვენებულს ამხანაგებმა გადაუხადეს პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო უნივერსიტეტის რექტორი. 3 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, პანაშვიდს დაესწრო უნივერსიტეტის მთავრობა, პროფესორები, მრავალი სტუდენტობა და სხვა საზოგადოება. პანაშვიდის შემდეგ განსვენებული წაასვენეს დორპატელ მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. განსვენებულის კუბოსამშვენებდა გვირგვინები: 1 დორპატელ ქართველ სტუდენტებისაგან და 2 დორპატელ სომეხ სტუდენტებისაგან. განსვენებული დაკრძალეს სტ. ეფ. ტალაკვაძის გვერდით. განსვენებულ ბასილის სამარეზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა გერასიმე მახარაძემ.

სტუდენტი დიდიქაშვილი.

წერილი ოზურგეთიდან

სახლის პატრონების დაღონება.—ხმოსნების პირველი კრება.—სენატის ბრძანება ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

ჯარის წასვლის შემდეგ ჩვენმა სახლის პატრონებმა ცხვირები ჩამოუშვეს. სახლის პატრონები დღემდის თუ 20—25 მანეთს იღებდნენ ქირას თვეში, დღეს მის ნახევარსაც ვეღარ იღებენ. [illegible] ჯარის ნაცვლად გამოეგზავნეს 75 კაცი. აგვისტოს დამდეგამდის ჩვენი ოზურგეთი თითქმის ღრმა ძილში იყო, მაგრამ მოაწია თუ არა შემოდგომამ, საზაფხულოდ წასულნი დაბრუნდნენ და ცოტაოდენი მოძრაობა დაეტყო ჩვენს ქალაქს. მაგრამ შედარებით წარსულ წლებთან მაინც მოწყენილობაა.

ხანგრძლივის დასვენების შემდეგ 1 სექტემბერს ჩვენს ქალაქის მამებს პირველად მორიგი კრება ჰქონდათ. განსახილველი იყო 5 სხვა და სხვა საქმე. თავდაპირველად თავმჯდომარემ ცეცხლაძემ წაიკითხა ის მოწერილობა გუბერნატორისა, რომლითაც თხოულობდა ქალაქის პოლიციის შტატის მომატებას. თხოულობენ, მაგალითად, 6 „გოროდოვოის“ ნაცვლად 12-ს და სხვას. სულ 4,000 მანეთამდე ხარჯი უნდა მიეღო ქალაქს. წლიური შემოსავალი ქალაქისა უდრის არა უმეტეს 6.000 მანეთს და აქედან 4000 უნდა მოხმარებოდა პოლიციას. მოისმინა რა ეს კრებამ, დაადგინა: მიეცეს პოლიციის ბოქაულს 1 მოსამსახურე (იგივე დამტარებელი) და მიემატოს ბოქაულის საკანცელარიო ხარჯს ნაცვლად 40 მანეთისა 60 მანეთი წელიწადში. დანარჩენზე კი უარი განაცხადეს, საშუალების უქონლობისა გამო.

1900 წ., როცა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე თავ. თავდგირიძე აირჩიეს, ჯამაგირად 1200 მანეთი დაუნიშნეს. ეს დადგენილება ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოს დაურღვევია და ნაცვლად 1200 მ., 800 მანეთი დაუნიშნავს. საკრებულოს ეს გადაწყვეტილება იმავე 1900 წელს ოზურგეთის ხმოსნების მინდობილობით გაუსაჩივრებია უმართებულეს სენატში ხმოსანს (აწ გარდაცვალებულს) სპირიდონ მენაბდეს. დღეს მოისმინეს პირი სენატის ბრძანებისა, რომლითაც სენატს დაურღვევია ქუთაისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება

შვიდის წლის ბავშვებს ათასობით ამუშავებდნენ საქსოვ ქარხნებში. იდგნენ ეს პაწაწა ბავშვები ჩვიდმეტი საათი საქსოვ მანქანებთან და პატარა თითებით აბრეშუმის ძაფს არჩევდნენ, გაწყვეტილ ძაფს ამაგრებდნენ და სხვა საქმეს აკეთებდნენ. ნორტუმბერლანდში ხუთის წლის ბავშვები მთელი დღე ბნელ მაღაროებში იყვნენ და მუშებს მუშაობის დროს ფარნებს უნათებდნენ. გაზეთმა აწერა მთელი ოლქები და გამოაცხადა, ამ ოლქების მცხოვრებნი გონებრივ განვითარებით ტროგლოდიტებზე მაღლა არა სდგანანო. იმ ხანებში ბევრი მოწინამძღვეგი ჰყვანდა მუშათა მოძრაობას. გაზეთებში ხშირად ჰკიცხავდნენ მუშებს, იმათ ახალ აზრებს და მეტის თავისუფლების მოპოების სურვილს. „ტაიმს“-ი, სიტის ორგანო, ამ შემთხვევაშიაც-კი მუშებს იცავდა და ბევრ რამეს თხოულობდა იმათ სასარგებლოდ.

მაგრამ დრონი იცვალნენ. რაც ორცის, ოცდა-ათის წლის წინად იყო, ის დღეს აღარ არის. „ტაიმს“-ი არც მაშინ იყო გამხდარი, მაგრამ მას შემდეგ ერთი-ოთხად უფრო გასუქდა, ქონი ძალზე მოემატა, კანი გაუსქელდა და ამიტომ უგრძნობელი გახდა. უწინ გაზეთი მუშებს ესარჩლებოდა, იმათთვის მეტ თავისუფლებას თხოულობდა, ეხლა-კი მონობას ჰქადაგებს. როდესაც ამ ორის წლის წინად გამოაშკარავდა, რომ სესილ როდსმა და ბარნეი ბარნატომ სამხრეთ-აფრიკაში ნამდვილი მონობა განამტკიცესო, „ტაიმს“-ი მძარცველთა გასამართლებლად მაღალ საგნებს მოედო და ახალ თეორიების შექმნას მოჰყვა. გაზეთი „ამტკიცებდა“, რომ ცივილიზაცია (რომელიც სამხრეთ-აფრიკაში სესილ როდსმა და ბარნატომ შეიტანეს) პირველ ყოფილ ხალხთან ვერ მოთავსდებაო. ასეთია ბედი ველურებისა: მონებად უნდა იყვნენ ან დაიღუპნენ, რადგან ისტორია ამ გზას ადგია და პროგრესსიც (ე. ი. როდსისა და ბარნატოს ჯიბეები) ამას მოითხოვსო. აი, რას ჰქადაგებს ეხლა ოდესღაც მიუდგომელი „ტაიმს“-ი.

იყო დრო, როდესაც „ტაიმს“-ი ირლანდიისათვის თვით-მმართველობას თხოულობდა. შევიწროვებულ ირლანდიელთა გადასახლება ამერიკაში გაზეთს აღელვებდა. „დადგება დღე“—სწერდა მაშინ „ტაიმს“-ი,—როდესაც ვიგემებთ სასტიკ სასჯელს იმ ტანჯვა-ვაებისათვის, რომელიც შვიდის საუკუნის განმავლობაში ირლანდიას მივაყენეთ. დადგება დღე, როდესაც ასი მილიონი ხალხი, ამერიკაში გამრავლებული, მოიგონებს, რომ იმისი წინაპარნი ათეულს აძლევდნენ პროტესტანტ მღვდლებს, რენტას იხდიდნენ ლორდების სასარგებლოდ და ემორჩილებოდნენ იმ სასტიკ კანონებს, რომელიც ამავე ლორდებმა შეჰქმნეს. დადგება ის დღე და უბედურებაც დაგვატყდება.“ ასე სწერდა წინად. ეხლა?

ბევრს ეხსომება „ტაიმს“-ისა და ირლანდიის „დაუგვირგვინებელ მეფის“ პარნელის ბრძოლა. გაზეთმა გადასწყვიტა თავისუფლებისათვის კეთილშობილ და ნიჭიერ მებრძოლის დაღუპვა. პარნელმა ამ დროს, მეოთხმოცე წლების მიწურულში, ბევრის შრომისა და მეცადინეობის შემდეგ, შეაერთა ირლანდიელთა დაქუცმაცებული და გადამტერებული დასები და შეუკავშირდა გლადსტონის მომხრეებს. 1887 წლის მარტში „ტაიმს“-ი შეუდგა წერილების ბეჭდვას ამ სათაურით: „პარნელიზმი და ბოროტმოქმედება“. გაზეთი ამტკიცებდა, რომ პარნელიზმი რევოლიუციონური მოძრაობაა, რომ ამ მოძრაობას აზრადა აქვს ინგლისის მართვა-გამგეობის დამხობა ირლანდიაში და სხვა. იმავე წლის აპრილის 18-ს გაზეთმა მოათავსა პარნელის წერილი. ეს წერილი ვითომდა გაგზავნილი უნდა ყოფილიყო ფენიების ერთ წინამძღოლთან. პარნელი ამ წერილში ამართლებდა ფენიქს-პარკში მომხდარ მკვლელობას. გამოდიოდა, რომ პარნელი ფენიების მოკავშირე იყო და იმათთან ერთად მოქმედებდა.

პარნელმა სასამართლოს მიჰმართა და დაიწყო პროცესი. „დაუგვირგვინებელმა მეფემ“ დაამტკიცა, რომ 18 აპრილის წერილი ყალბი იყო. აღმოჩნდა, რომ „ტაიმს“-მა ეს წერილი იყიდა ვიღაც პიგოტისაგან, რომელიც მადრიდში გაიქცა და იქ თავი მოიკლა. პროცესი სამარცხვინოდ გათავდა „ტაიმს“-ისთვის. გაზეთს სასამართლომ ცილის წამებისთვის 50,000 მანეთის ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა პარნელის სასარგებლოდ.

ამ რიგად ოდესღაც მოწინავე „ტაიმს“-ი დღეს სავსებით სიტის იდეალების მტარებულად გადაიქცა. ეხლა ინგლისის პრესაზე ამ გაზეთს სუსტი გავლენა აქვს. ესეა საქმე, მაგრამ შინაარსის სიმდიდრით, ცნობების სიმრავლით მაინც იშვიათი გაზეთი შეედრება „ტაიმს“-ს. უამისობა არც შეიძლება. „ტაიმს“-ის მკითხველები სულ მდიდარი, საქმისა და აღებ მიცემობის, ხალხია. თვითეულ მკითხველის შემოსავალი ათი და ასი ათასობით ითვლება. აი, ამ საქმის ხალხისთვის უსათუოდ საჭიროა ნამდვილი, უტყუარი ცნობები დედამიწის ყველა კუთხიდან. ერთად-ერთი გაზეთია „ტაიმს“-ი, რომელიც ძვირად, ათ კაპეიკად ჰღირს.

გაზეთი ძალზე მდიდარია. უცხო ქვეყანაში მყოფ კორესპონდენტებს სიტის ელჩებს ეძახიან. არც ერთ დიდ სახელმწიფოს ელჩს იმდენი ჯამაგირი არა აქვს, რამდენიც „ტაიმს“-ის პარიზელ კორესპონდენტს. გაზეთს ყველგან საკუთარი ტელეგრაფი აქვს გამართული. კორესპონდენტები კორესპონდენციებს ყოველ დღე ტელეგრაფითა ჰგზავნიან და არა ფოსტით. ყველაფერს ტყობილობს მკითხველი „ტაიმს“-ის მეოხებით: სად რა მოხდა, რა აზრისა იყო გუშინ ამერიკისა და ევროპის პრესსა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რას ჰფიქრობს საზოგადოება, რა შინაარსისაა პროექტი, რომელიც ევროპის რომელსამე სახელმწიფოს სამინისტროს ჯერ კიდევ ცხრა კლიტულში აქვს დამალული და სხვა. კვირაში ერთხელ გაზეთი ჰბეჭდავს კრებულს, რომელიც 7 კაპეიკად ღირს. ამ კრებულში მოთავსებულია მოკლედ ის თვალ-საჩინო მასალა, რაც კვირის განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა. ასეთია დღეს „ტაიმს“-ი.

ი. მე—ა.

(მესამე თავის დასასრული იქნება)

და კანონიერად უცვნია ოზურგეთის ქალაქის ხმოსანთა დადგენილება. შემდეგ კრებამ განიხილა დანარჩენი უმნიშვნელო საკითხები.

დასჯილი

* * *

წერილი თელავიდან

სასწავლებლების სიმცირე.

ამისთანა ყურწაგდებული ქალაქი სწავლა-განათლების მხრივ არა მგონია ბევრი იყოს. თელავი კახეთის შუა გულია, 12 ათასამდე მცხოვრებია აქ, ეს რიცხვი თან-და-თან მატულობს, სწავლის წყურვილი ძლიერდება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, თელავში-კი ნოეს დროიდან არსებობს მხოლოდ ორიოდ სასწავლებელი და არც წინ მიდის, არც უკან. თელავის მაზრის თავად-აზნაურობამ რომ გადასწყვიტა თელავში პროგიმნაზიის დაარსება, თელაველებს ძლიერ უხაროდათ, მაგრამ გუბერნიის თ-აზნ. კრებაზე ვერ გავიდა ეს აზრი და თელაველნიც ხახა-მშრალნი დარჩნენ. მოთხოვნილება-კი დიდი ხანია არის, რომ თუ გიმნაზია არა, პროგიმნაზია ან სხვა გვარი სასწავლებელი მაინც დაარსდეს თელავში. დროა, დრო ქალაქის „მუნიციპალიტეტმა“ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ თელავის შვილნი, რაკი სექტემბერი მოახლოვდება, საცოდავად დაიფანტებიან ხოლმე: ზოგი სად მიჰყავთ მშობლებს, ზოგი სად სწავლის მისაღებად და ეს-კი ერთი-ორად მეტი უჯდებათ. დროა იზრუნონ სწავლა-განათლებისთვის, რომ თელავიც ქალაქთა სიაში ჩაეწეროს, თორემ, ეჭვს გარეშეა, ბევრი დასავლეთ საქართველოს ქალაქი-კი არა, დაბაც წინ წასწრებია და მაშინ სირცხვილი კახთა დედაქალაქს და მის მზრუნველებს!

დადგა სექტემბერი და აგვიჩქროლდა მშობლებს გული. ბევრ ჩვენგანს უნდა პირველადვე რიგიან სწავლის საფეხურზე შეადგმევინოს ფეხი შვილს, რომ მერე მომზადება და ფულის ხარჯვა აღარ მოუნდეთ. მაგრამ სად? თელავში შეუძლებელია და სხვაგან წაყვანა კიდევ სწავლის მისაღებად მომეტებულ ნაწილს არ შეუძლიან და ასე არიან ორ წყალ—შუა დარჩომილნი.

ქალთა სქესის აღზრდა უფრო ადვილია. თელავში წმ. ნინოს ქალთა ოთხკლასიანი სასწავლებელი არსებობს პროგიმნაზიის უფლებებით. სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი თავისუფლად შედიან როგორც ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელში, ისე ქალთა გიმნაზიებში.

ამას გარდა კერძო სკოლაც არსებობს, სადაც ბავშვებს ამზადებენ ქალთა სასწავლებლებისთვის. შარშან ასეთი სკოლა ორი იყო ქ-ნთ იაკოროვისა და მიუკაშვილისა. წელს პირველმა თავი დაანება და ქ-ნმა მიუკაშვილისამ აიღო ეს სკოლაც. ორი ერთად შეაერთეს და ქალებზე სწავლის ფასს წაუმატეს 1 მ. ე. ი. 3 მან. გახადეს თვეში. თუმცა ამავე დროს ვაჟებზე 1 მ. დაუკლეს, მაგრამ მათი რიცხვი ქალებთან შედარებით მცირეა.

X

* * *

სასამართლო

I

მეყვავიძის მოკვლა

15 ივლისს, ამა 1903 წელს, მტკვრის პირად, კარაკოზოვის ბუფეტში ვახშმად შეკრებილან მოდლინის პრაპორშჩიკი თავ. რევაზ მიხეილის ძე ვარადაშვილი, სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი ივლიანე ალექსანდრეს ძე ქავთარაძე, თავ. ზაქარია მიხეილის ძე რუსიშვილი, თავ. ნიკოლოზ დავითის ძე ჯორჯაძე, თავ. დავით მიხეილის ძე ვარადაშვილი და ტფილისის მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე მეყვავიძე. ნავახშმევს დანახარჯი აღმოჩნდა 15 მანეთამდე. როგორც გამოძიების აქმიდან სჩანს, შეჰკრიბეს ეს ფული და დახლში გადასაცემად ჩააბარეს მეყვავიძეს. მეყვავიძემ ფული დროზე არ გადასცა და როცა მსახურმა დუდუნიშვილმა სთხოვა ფულები გარდაეხადნათ, იქ მყოფთ უსაყვედურეს მეყვავიძეს. ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც მეყვავიძე წასულა ბუფეტიდან. ცოტა ხნის შემდეგ მოქეიფენი გამოსულან ქუჩაში და დაუწყიათ რაღაცაზე ლაპარაკი. ამ დროს მოურბენია მეყვავიძეს და რევოლვერით სროლა დაუწყია იმათთვის. ორჯერ დაუჭრია რევაზ ვარადაშვილი და ერთხელ ივ. ქავთარაძე. თავის მხრივ ვარადაშვილს ამოუღია რევოლვერი, დაუმიზნებია მეყვავიძესათვის, მაგრამ არ გავარდნილა. შემდეგ უძვრია ხანჯალი და ისე ძლიერ ჩაუკრავს მუცელში მეყვავიძისათვის, რომ იგი იქვე მომკვდარა.

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ ადმინისტრატიულად და რადგან დარწმუნდა, რომ თავ. ვარადაშვილმა მეყვავიძე მოჰკლა იმ დროს, როცა თავს იცავდა, სასჯელთა დებულების მე-101 მუხლის თანახმად, დაადგინა საქმე მოისპოს და ვარადაშვილი ამ მკვლელობისათვის პასუხის გებაში არ მისცეს.

II

ქურდობა

10 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მოქალაქეთა არშაკ ეირანოვისა და დარჩო ალაჯანოვისა, რომელთაც ტფილისის მცხოვრების კაცელბოგენის სახლიდან სხვა და სხვა ნივთების მოპარვა ჰბრალდებოდათ. ამას გარდა ეირანოვს სხვა ქურდობაც ჰბრალდებოდა. ამ სამის წლის წინად სამჯერ ქურდობაში შეუმჩნევიათ ეირანოვი, რისთვისაც ოლქის სასამართლოს გადაუწყვეტია იმისთვის ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლითა და 4 თვით გაგზავნა. დარჩო ალაჯანოვისთვისაც ერთხელ მოუსწრიათ ქურდობაზე, რისთვისაც მომრიგებელ მოსამართლეს 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯავს.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა ეირანოვს ორჯელ ქურდობისათვის 4 წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო ალაჯანოვს—ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება.

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი

პეტერბურგი. 11 სექტემბერს სკერნევიცაში მათ უდიდებულესობის თანდასწრებით პარადი მოხდება მის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ულანის პოლკის 250 წლის იუბილეის გამო.

ბელგრადი. საერო კრების წევრთა ხელმეორედ არჩევანი, ახლად, 14 (27) სექტემბერს მოხდება. საიმედო წრეები იუწყებიან, მთავრობა მომავალ კვირას საერო კრებას შეჰკრებს და სამსახურიდან გადადგებაო. ახალ კაბინეტს საერო კრების მოწვევის უმალ შეადგენენო.—ბელგრადის ციხის უფროსი პოლკოვნიკი მარინკოვიჩი დაითხოვეს და იმის ნაცვლად პოლკოვნიკი რაზიჩი დააყენესო.

ბელგრადი. ნიშში დატუსაღებულ ოფიცრების საქმის გარჩევა დაიწყო. სასამართლოს თავმჯდომარედ გენერალი ლაზარევიჩია დანიშნული. ლაზარევიჩიც და სასამართლოს სხვა წევრებიც ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ გამართულ შეთქმულობაში როდი რეულან.—მთავრობამ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი წარუდგინა მეფეს.

იზიუმი. ქალების გიმნაზიის შენობა აკურთხეს. ეს შენობა მარტო ქალაქის ხარჯითაა აშენებული.—საერობო კრებამ დაადგინა, რომ საერობო სკოლის მასწავლებლებს რამდენისამე წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირები ემატებოდეს და ხალხი საერობო ექიმებს ფულს აღარ აძლევდეს საექიმო რჩევისათვისაო.

სტამბოლი. მინისტრების განსაკუთრებულ საბჭოში ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, პორტამ საპასუხო ნოტა გაუგზავნა ბოლგარიის მთავრობას. ბოლგარიის მთავრობა თავის ნოტაში თხოულობდა, მაკედონიის საქმის გადასაწყვეტად საერთაშორისო კომისია დაგვიწესეთო. საპასუხო ნოტაში პორტა აცხადებს, უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბოლგარიისაგან ნარჩევ კომისიას ექნებოდაო. თუ ბოლგარიის მთავრობას წესიერების აღსადგენად საკმაო ძალა არ შესწევს, ბოლგარიის სიუზერენი (ბატონი) ოსმალეთი ყოველთვის მზადაა, შემწეობა გაუწიოს და წესიერების აღდგენა უშველოსო.

მადრიდი. კანარის კუნძულებზე გუშინ ორჯელ იძრა მიწა. ბევრი სახლი დასკდა.

ფრეიბურგი. პროფესორი ფრიდრიხ ბინცმანი გარდაიცვალა; ბინცმანი ცნობილი იყო, როგორც ოსტზეის პროვინციების ისტორიკოსი.

მადრიდი. ესპანიამ და არგენტინამ ხელშეკრულობა დასდეს, რომ ამას იქით რაც დავა მოუვათ, სამედიატორო სასამართლოს შემწეობით გადასწყვიტონ.

სოფია. ოსმალეთის კომისარმა ხელ-ახლად წინადადება მისცა ბოლგარიას, დიდ სახელმწიფოების დაუხმარებლივ ჩვენ თითონ მოვრიგდეთ მაკედონიის საქმეზეო. კომისარი პირობას იძლევა, მაკედონიაში ბოლგართ სოფლებს ფართო თვითმმართველობა მიენიჭებათო. ამ თვითმმართველობის დაწესებას ოსმალებისა და ბოლგარებისაგან შემდგარი კომისიები გაუწევენ კონტროლსაო.—კომისიის წევრი ბოლგარები ეგზარხის წინადადებით დაინიშნებიანო. მაკედონიელთა წრეები ეჭვის თვალით უცქერიან ამ წინადადებას; სანამ ოსმალები მაკედონიაში ბოლგარების ხოცვაზე ხელს არ აიღებენ, არას დაუჯერებთ ოსმალეთსაო.—საზღვარზე ჯარს მოუმატეს. ბურგასის ოლქში 10 ათასზე მეტი გამოქცეული ბოლგარი იქნება.—პოლკოვნიკმა იანკოვმა ნევროკოპსა და რაზლოგს შუა უმთავრესი გასავალი დაიჭირა.

11 სექტემბერი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია მთავრობის ვრცელი განცხადება, რომელიც შემდეგის სიტყვებით თავდება: „დიდ სახელმწიფოთა მთავრობათ, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, მიანდეს თავიანთ წარმომადგენლებს ოსმალეთში და ბულგარიაში ხელახლად აღნიშნონ მათი სრული თანხმობა ბალკანეთში მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში; ამასთანავე უნდა გამოუცხადონ ოსმალეთსა და ბულგარიას შემდეგი: ოსმალეთის ვილაეტში საქმეთა აწინდელი მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია კომიტეტების ბოროტგანზრახვით და სარევოლიუციო ბრბოთა მოქმედებით, ვერ შესცვლის სახელმწიფოთა მოქმედების პროგრამას, რუსეთისა და ავსტრიისაგან შედგენილს; ამიტომ არც ოსმალეთს და არც ბულგარიას არ უნდა ჰქონდეს იმედი რომლისამე სახელმწიფოს დახმარებისა, თუ ოსმალეთი ან ბულგარია განიზრახავენ აშკარად ან ფარულად პროგრამის განხორციელების წინააღმდეგობას. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს ახალი გაფრთხილება დაარწმუნებს ოსმალეთსა და ბულგარიასაც, რამდენად უნაყოფო იქნება ყოველი მათი ცდა თავიდან აიცილონ სახელმწიფოთა წინადადების ასრულება და ამასთანავე ყოველგვარ ღონისძიებას მიიღებენ ბალკანეთის დასამშვიდებლად.“

ასტრახანის გუბერნატორი ჰაზენ-კამპფი სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა.—პოლკოვნიკი დრაჩევსკი დაინიშნა ფინლიანდიის რკინის გზების დირექტორად.

კიშინიოვი. გაიხსნა ბესსარაბიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა.

ბელგრადი. მეფის თავმჯდომარეობით შესდგა მინისტრთა რჩევა, რომელმაც დაადგინა, რომ სკუპშჩინა შეიკრიბოს 15 (28) სექტემბერს. შემდეგ ამისა მმართველობამ თანამდებობას თავი დაანება, რის თხოვნაც მეფისაგან უკვე მიღებულია. კაბინეტი საქმეს აწარმოებს სკუპშჩინის გახსნამდის და ახალი მართებლობა მხოლოდ მაშინ შესდგება.

ვაშინგტონი. კოლუმბიის მოქმედების მიუხედავად, რუზველტმა გადასწყვიტა პანამის არხის გაჭრა განაგრძოს. შეერთებული შტატები მხედველობაში იღებენ იმას, რომ გერმანიის კაპიტალისტებს სურთ არხის გაჭრა და, თუ კოლუმბია მათ ამ წინადადებას მისცემს, მაშინ ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ მას. გერმანიის მართებლობას აცნობეს კიდეც, რომ ყოველივე ცდას უცხო სახელმწიფოს მხრივ არხის გაჭრისას შეერთებული შტატები არა-მეგობრულ მოქმედებად ჩასთვლიან. „ვოლფის სააგენტოს“ განმარტებით, ეს ცნობა უსაფუძლოდ ითვლება სამმართველო წრეებში.

სტამბოლი. ჯარების მიერ მოხდენილ ძალმომრეობის გამოსაძიებლად სოფელ ეზეკარიონში, ოსმალურად ხელია, ადრიანოპოლში კომისია შესდგა ჯარის ინსპექტორ შუკრი-ფაშასი, სულთნის ადიუტანტის შაკირ-ფაშასი, პოლკოვნიკ ახმედ-ბეისა და ექვსი წევრისაგან, რომელთ შორისაც ერთი ქრისტიანია. იმავე კომისიას უნდა მიანდონ სხვა სოფლებში მომხდარ ძარცვის საქმის გამოძიება.—როგორც მონასტრიდან იუწყებიან, ორი ქვეითა ჯარის დივიზია ადრიანოპოლის ვილაიეტში უნდა გაეგზავნონ.

ბუდაპეშტი. იმპერატორის რესკრიპტი გრაფ კუენის სახელზე ამბობს, რომ იმპერატორი დიდად სწუხს იმ გარემოებათა გამო, რომელნიც აბრკოლებენ სახელმწიფო საქმეების წესიერ მსვლელობას. იმპერატორი ვერ დასთანხმდება იმ ღონისძიებათა შემოღებას, რომელიც დაასუსტებენ ორთავე სახელმწიფოს მხედრობას და არც შეეფერებიან ჰუნგრეთის ინტერესებს; ხოლო ამავე დროს იმპერიის ერთიანობას განსაცდელს უქადიან. იმპერატორს მაინც სურს განახორციელოს ის ღონისძიებანი, რომლის შესახებაც პარლამენტს შეატყობინა.

ჰუნგრეთის გაზეთებში დაბეჭდილია მეფის ორი რესკრიპტი: პირველით ჰედერვარის კუენს ევალება კაბინეტის შედგენა; მეორეთი მეფე ნებას აძლევს გრაფს კაბინეტის შედგენის საკითხის შესახებ წინადადებანი მისცეს.

სტამბოლი. ოსმალეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მონასტირის, უსკიუბის და სოლუნის ვილაეტებში ოსმალთა და აჯანყებულთა შორის ბევრი შეტაკება მოხდა.

ხაბაროვსკი. გენერალი სუბოტინი პეტერბურგს წავიდა.

სოფია. ბულგარიის სამხედრო სამინისტრო კიდევ 1000 ცხენს ყიდულობს.

ვენა. მოლაპარაკება სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ შვეიცარიასა და იტალიის შუა იანვრამდის არ დაიწყება.

ტანჟერი. ყველა ევროპიელი, რომელნიც სულთანთან მსახურებენ, მოვალენი არიან ფესიდან წავიდნენ.

სოფია. პორტას წარმომადგენელმა განუცხადა დღეს მინისტრ-პრეზიდენტს, რომ სულთანი იღებს ბოლგარეთის წინადადებას მაკედონიის კითხვის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ. ორივ მხრისაგან შემუშავებული რეფორმა იმაში მდგომარეობს, რომ უნდა შესდგეს კომისია, რომლის წევრთა ნახევარიც უნდა ეგზარხოსისაგან დასახელებული ბოლგარელნი შეადგენდნენ. ეს კომისია შეიმუშავებს პროექტს ფართო ავტონომიის შედგენისას ბოლგარიის საზღვრებში პოლიციის და ბეგრის გადასახადის შესახებ. ამავე დროს ორივე მხარე მოვალეობას იღებს, რომ საზღვრებიდან ჯარი გაიყვანოს.

ბუდაპეშტი. უმაღლესმა რესკრიპტმა ყველანი დაამშვიდა.

ბელგრადი. სერბიის მართებლობამ პორტას გამოუცხადა ენერგიული პროტესტი ოსმალთა ჯარის სერბიის საზღვარზე შეკრების გამო.

სოფია. ოსმალეთის კომისარმა აუწყა მართებლობას, რომ სულთანი თანახმაა ბოლგარეთთან მოლაპარაკება იქონიოს მაკედონიის დამშვიდების შესახებ. ბოლგარეთის მმართველობამ განაცხადა, რომ მისთვის საჭიროა ოსმალეთისაგან წერილობითი წინადადება მიიღოს ამ საქმის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი
და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულჰენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მც. 10—5)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—223)

ცინკოგრაფია

ტფილის. სტამბ. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ 11 Сентября, 1903 г. ბეჭდ. რონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)